პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ შაბათი 14 იანვარი □ № 12 (17056) □ ფასი 2 კაპ.

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი — გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას 1978 წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის

წ ე რ ი ლ ი

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს

1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სამშობლოსათვის დაიწყო გმირული რევოლუციური ისტორიის მეშვიდე ათწლეული. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი უთვალსაჩინოესი მოვლენა იყო ქვეყნის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. მიღებულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია, რომელიც ამკვიდრებს საბჭოთა ხალხის უდიდეს მონაპოვრებს და კიდევ უფრო ავითარებს სახალხო ხელისუფლების ლენინურ პრინციპებს.

წარმატებით ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ჩვენი ქვეყანა წინ წავიდა ყველა მიმართულებით. ეროვნული შემოსავალი 9 პროცენტით გაიზარდა, სამრეწველო წარმოების მატებამ 10,8 პროცენტი შეადგინა. მარცვლეულის საშუალო წლიურმა მოსავალმა 209,6 მილიონ ტონას მიაღწია მეცხრე ხუთწლედის 181,6 მილიონთან შედარებით. უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, საბინაო პირობები გაიუმჯობესა თითქმის 22 მილიონმა კაცმა, აშენდა ბევრი სკოლა, საბავშვო, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება.

კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. პოზიციები განიმტკიცა მსოფლიო სოციალიზმმა, რომელიც სულ უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად ავლენს თავის დიად უპირატესობებს.

მიღწეული წარმატებები კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგია.

ამხანაგებო! დაიწყო მეათე ხუთწლედის მესამე წელი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მოიწონა და სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა. გეგმა ითვალისწინებს ეკონომიკის მნიშვნელოვან ზრდას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის გამოსვლაში საფუძვლიანად გააანალიზა ხუთწლედის ორ წელიწადში სახალხო მეურნეობის განვითარება და დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ვიწრო ადგილების დაძლევის გზები, განსაზღვრა პარტიისა და მთელი ხალხის მორიგი ამოცანები.

დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის, 1978 წლის გეგმის, მთელი მეათე ხუთწლედის დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ჩვენ ყველა პირობა გვაქვს: მძლავრი ინდუსტრია და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, უზარმაზარი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მომზადებული კადრები. სახალხო მეურნეობის განკარგულებაშია მნიშვნელოვანი რეზერვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, უფრო აქტიურად ჩაებან წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

მოდით, ამხანაგებო, მეურნის თვალით განვსაჯოთ როგორ მოვაწყოთ მუშაობა უკეთ ახალ წელს, როგორ გამოვიყენოთ უფრო სრულად რეზერვები, რა უნდა გაკეთოს ამისათვის თითოეულმა თავის სამუშაო ადგილზე, საამქროში, მშენებლობაზე, ყანაში, ფერმაში, საკონსტრუქტორო ბიუროში.

მთავარია წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველვყოთ, რომ იყოს მუშაობის ზუსტი რიტმი, რომ თითოეულმა ზრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ შეასრულოს სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი. ხომ კარგად არის ცნობილი, რომ თუ გეგმა ჩაშალა თუნდაც ერთმა საწარმომ, თუ მიწოდებული არ არის საჭირო ნომენკლატურის და ასორტიმენტის პროდუქცია, ამან შეიძლება შეაფერხოს მოჯნავე საწარმოთა მუშაობა და საბოლოო ანგარიშით გამოიწვიოს დიდი აუნაზღაურებელი დანაკარგები. აქ დიდი გარჯა გვმართებს. ჯერ კიდევ ყველა მომუშავე ვერ ასრულებს ცვლის დავალებებს. ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მრეწველობის ყოველმა მეთერთმეტე საწარმომ ვერ შეასრულა რეალიზაციის გეგმა, მათ ქვეყანას დააკლეს 4 მილიარდი მანეთის პროდუქცია. ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი წარმოების რიტმულობა.

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ შეიძლება ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილები. ამას, კერძოდ, მიაღწიეს როსტოვის ოლქში, სადაც არ არის საწარმო, რომელიც პროდუქციის რეალიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმებს ვერ ასრულებდეს. როსტოველები მიღწეულს არ სჯერდებიან და ცდილობენ, რომ არ ჰყავდეთ არათუ ჩამორჩენილი საწარმოები, არამედ არც ბრიგადები, უბნები და საამქროები. ასეთი მაგალითები ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მატულობს.

სასიხარულოა, რომ დასახული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მოძრაობას სულ უფრო ფართო გასაქანი ეძლევა. საიუბილეო წელს 7,5 მილიონზე მეტმა მშრომელმა, საამქროების, უბნების, ცვლებისა და ბრიგადების 150 ათასმა კოლექტივმა, ხუთი ათასამდე საწარმომ 1977 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულეს ხუთწლედის ორი წლის დავალებანი. შეჯიბრების მოწინავეთა შორის არიან მეტალურგები მ. ილინი, პ. სატანინი და ი. ტერეშჩენკო, მეშახტეები ა. კოლესნიკოვი, გ. სმირნოვი და მ. ჩიხი, მაღაროელი ნ. კულეში, მჭედელი დ. კარცევი, კბილმჭრელი ა. ხრამცოვი, ხარატი ა. რეკიავიჩუსი, ბურღვის ოსტატი გ. ლევინი, ფლოტატორი ნ. მულაკაევა, მშენებლები ნ. ზლობინი და ვ. სერიკოვი, შოფერი ნ. მირჩევი, ფეიქრები ვ. გოლუბევა და ვ. პლეტნევა, მხვნელ-მთესველები მ. კლეპიკოვი, ნ. პერევერზევა და ი. პიტრა, მებამბეტ. ახუნოვა, მეჭარხლე ს. ვიშტაკი, მეკარტოფილე ნ. შერსტნიოვი, მეცხოველეები ლ. პეიპსი და ა. გრიგორიევი და ათასობით სხვა თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი.

სახელი და დიდება მოწინავე კოლექტივებს, შრომის გმირებს, წარმოების ნოვატორებს!

მოსკოვის მოწინავე კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის დაამთავრონ ხუთწლედის სამი წლის დავალებანი. 1978 წლისათვის დიდი ვალდებულებანი იკისრეს წარჩინებულმა მეშახტეებმა, ნოვოლიპეცკელმა მეტალურგებმა, ივანოვოელმა ფეიქრებმა და ბევრმა სხვამ.

მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების, სოციალისტური შეჯიბრების მედროშეების, შრომის ახალი, უფრო პროგრესული ფორმებისა და მეთოდების თაოსანთა პატრიოტული ინიციატივა მაღალ შეფასებასა და მხარდაჭერას, მათი გამოცდილება კი ფართო გავრცელებას იმსახურებს.

არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით — ასეთია კოლექტიური შრომის საბრძოლო დევიზი, ასეთია ჩვენი დროის მოთხოვნა!

აქტიურად ჩავებათ ეფექტიანობისა და ხარისხისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში — ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად. შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საკითხების კომპლექსური გადაწყვეტის საყურადღებო გამოცდილება შეიძინა, მაგალითად, ვოლგის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. აქ ფართოდ იყენებენ გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს, შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ მეთოდს, ცვლის დავალებათა შესრულებისა და ავტომობილების რიტმული გამოშვებისათვის მატერიალური და მორალური წახალისების ქმედითს სისტემას. დღენიადაგ უმჯობესდება მუშათა შრომის პირობები. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს კოლექტივს მიაღწიოს მაღალ მაჩვენებლებს.

კარგ შედეგებს მიაღწიეს ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის, „მთავარტიუმენნავთობგაზის“, ვოსკრესენსკის „მინერალური სასუქების“ გაერთიანებების, დედოფლისწყაროს სართავ-საქსოვი ფაბრიკის, „მოსკოვის ელექტრომილაკების ქარხნის“ გაერთიანების კოლექტივებმა.

დიდ ეფექტს იძლევა საწარმოებში შჩეკინოს მეთოდის გამოყენება.

მოსავლის აღებისას მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუში გვიჩვენეს ხტავროპოლის მხარის იპატოვოს რაიონის მიწათმოქმედებმა. ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად მათ მიაღწიეს მანქანების მაღალეფექტიან გამოყენებას, 4 დღეში დაამთავრეს პურეულის მკა, 9 დღეში — ღვარეულების აღება, მნიშვნელოვნად აამაღლეს მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, გაადიდეს მარცვლეულის წარმოება.

დიდი შრომის ნაყოფიერების მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალი ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის გეგმების შესრულებას, ხელის შრომის შემცირებას, უწინარეს ყოვლისა დამხმარე, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოებზე.

ამასთან დაკავშირებით ფართო გავრცელების ღირსია ზაპოროჟიეს ოლქის გამოცდილება, სადაც ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის საფუძველზე ორ წელიწადში დადგენილ დავალებათა გადაჭარბებით მექანიზებულია მრეწველობისა და მშენებლობის ექვსი ათასი მუშის შრომა, ხელის სამუშაოებისაგან განთავისუფლებულია თითქმის 15 ათასი სოფლის მეურნეობის მუშაკი. ხუთწლედის მანძილზე დასახულია დაახლოებით ერთიორად შემცირდეს ხელის შრომით დასაქმებულ მუშაკთა წილი. ასეთი შესაძლებლობანი შეიძლება თითოეულ რესპუბლიკასა და ოლქში გამოინახოს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უდიდესი რეზერვია კადრების დენადობის, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება. გაცდენების, მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის შედეგად ეს დანაკარგები ყოველწლიურად ათეულ მილიონობით კაცდღეს აღწევს. მარტო მრეწველობაში შარშან ამ მიზეზით დაგვაკლდა სამ მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

უნდა ვაფასებდეთ და ვუფრთხილდებოდეთ სამუშაო დროის ყოველ წუთს! მისი სრული გამოყენება საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების გაზრდის ერთ-ერთი მთავარი წყაროა!

უდიდესი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული მშრომელ ადამიანზე ზრუნვასთან. უფრო მაღალ შედეგებს იმ საწარმოებში აღწევენ, სადაც აქტიური მუშაობა წარმოებს შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად, კადრების ზოგადი განათლების დონისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ეს საკითხები მუდამ უნდა იყოს სამეურნეო ხელმძღვანელების ყურადღების ცენტრში. ამ საქმეში დიდი უფლებები და შესაძლებლობანი აქვთ ჩვენს პროფკავშირებს.

ამოცანა ის არის, რომ მოქმედ საწარმოებში პროდუქციის მთელ მატებას შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით იღებდნენ. ეს ახლა უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი ამოცანაა!

აქტიურად ვიბრძოლოთ ეფექტიანობისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ განუხრელად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ავამაღლოთ მისი ტექნიკური დონე, საიმედოობა და ხანგამძლეობა. პროდუქციის ხარისხში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის მეცნიერების წვლილიც, წარმოების ტექნიკური დონეც და კოლექტივის მთელი შრომითი საქმიანობაც. ქვეყანაში განუხრელად იზრდება უმაღლესი კატეგორიის ხარისხის ნაწარმის გამოშვება, ყოველწლიურად სამი ათასზე მეტი ახალი სახეობის მანქანებს, მოწყობილობასა და ხელსაწყოებს ითვისებენ და წარმოებიდან ხსნიან 1,8 ათასზე მეტი სახეობის მოძველებულ ნაწარმს. ფართოდ ვრცელდება ხარისხის მართვის ლვოვური კომპლექსური სისტემა.

მაგრამ, თუ მიღწეულს დროის მაღალი მოთხოვნების პოზიციებიდან განვიხილავთ, სავსებით ცხადია, რომ ჯერ კიდევ დიდი და მუყაითი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ხარისხი, მნიშვნელოვნად გავადიდოთ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების მოცულობა. ამავე დროს ეს ამოცანა ჯერ კიდევ არ წყდება ყველგან წარმატებით.

ცუდი ხარისხის წარმომშობი მიზეზების აღკვეთა გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული თვით საწარმოებზე. იქ, სადაც ნამდვილად კიდებენ ხელს საქმეს, შედეგებიც კარგი აქვთ. თავის დროზე სერიოზულად იყო გაკრიტიკებული ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ ქარხანაში დადგმული ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის აგრეგატების ხარისხი. ასეთი აგრეგატების დამამზადებელმა — ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა სწორი დასკვნები გამოიტანა. მან მეტალურგებთან ერთად მოკლე ვადებში განახორციელა ამ აგრეგატების მოდერნიზაცია. ამის შედეგად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის უდიდესი უანგბად-კონვერტორული საამქროს საპროექტო სიმძლავრე, არსებითად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა, მეცნიერებმა ყველაფერი უნდა იღონონ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. დაე ყველა კოლექტივის მუშაობის წესად გადაიქცეს კონკრეტული, ღრმა შინაარსით აღსავსე ინიციატივები: „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია“, „მუშის სინდისი საუკეთესო კონტროლიორია“!

აქტიურად ვიბრძოლოთ ეფექტიანობისა და ხარისხისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ ძირითადი საწარმოო ფონდები. ეს თაობათა შრომით შექმნილი ჩვენი სიმდიდრეა და მას სრულად უნდა ვიყენებდეთ. შესაძლებლობანი დიდი გვაქვს. მაგრამ შარშან მრეწველობამ გამოუშვა ნაკლები თუჯი, ფოლადი, მინერალური სასუქები, ტრაქტორები, ლითონსაჭრელი ჩარხები, საშენი მასალები, ვიდრე ამის საშუალებას არსებული სიმძლავრეები იძლეოდა.

ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ასეთ ფაქტებს. საწარმოებში არცთუ იშვიათად ერთი ტიპის მოწყობილობის მწარმოებლობა ერთნაირი პროდუქციის გამოშვების დროს მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, ზუია-ტეზინის სართავ-საქსოვ ფაბრიკაში იმავე დაზგებზე 28 პროცენტით მეტ ქსოვილებს იღებენ, ვიდრე მინგეჩაურის საფეიქრო კომბინატში. დასავლეთ ციმბირის მეტალურგიულ ქარხანაში ფოლადის ანართმევი უანგბადის კონვერტორების ერთი ტონა ტევადობიდან 5,7 ტონით მეტია, ვიდრე ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში.

ბევრი პროდუქცია აკლდება სახალხო მეურნეობას იმის გამო, რომ ნელა ითვისებენ ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეებს. სანახევროდაც კი ვერ იყენებენ კარბამიდული ფისების საწარმოო დანადგარს, რომელიც ხუთი წლის წინათ ამოქმედდა ლიტვის სსრ იონავის აზოტიანი სასუქების ქარხანაში. ასეთივე სურათია ხერსონის ფეხსაცმლის ფაბრიკაში.

მთელ რიგ შემთხვევებში ჯერ კიდევ დიდია მოწყობილობის მოცდენა. მანქანათსაშენებელ ქარხნებში შარშან ყოველდღიურად ცდებოდა ათიათასობით ჩარხი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების მოცდენამ სამუშაო დროის 13 პროცენტი შეადგინა. მოსავლის აღების პერიოდში ცდებოდა ყოველი მეექვსე კომბაინი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლებას, უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობაში. ბევრი საწარმო პრაქტიკულად ერთ ცვლად მუშაობს. ტრაქტორების მუშაობის ცვლიანობა კლებულობს სოფლის მეურნეობაში.

დეტალურად უნდა გავარკვიოთ ასეთ მოვლენათა მიზეზები და განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი. სამეურნეო ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივების, ყველა მშრომელის უპირველესი მოვალეობაა ეფექტიანად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები, თითოეული მანქანა, აგრეგატი, დანადგარი!

აქტიურად ვიბრძოლოთ ეფექტიანობისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს, მივაღწიოთ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებას, გავაძლიეროთ მომჰირნეობის რეჟიმი. ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მიმართავდა რა მშრომელებს, წერდა: „თვალისჩინივით გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს სასესბით თქვენი, საერთო-სახალხო კუთვნილება იქნება“ (თხზ. ტ. 26, გვ. 348).

რაც უფრო მდიდარია ჩვენი საზოგადოება, მით უფრო ყაირათიანი უნდა იყოს იგი. განსაკუთრებით საჭიროა გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი პროდუქციის გამოყენებაში, რომელიც დღეს განსაკუთრებით სჭირდება სახალხო მეურნეობას.

ვერ შევურიგდებით იმას, რომ სახალხო მეურნეობაში კვლავ მაღალია და პრაქტიკულად არ მცირდება ლითონის ნარჩენები. მილიონობით ტონა ლითონი „გამკვდარებულია“ დაუმთავრებელ მშენებლობაში, დაუდგმელ მოწყობილობაში, დამძიმებულ კონსტრუქციებში. დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები.

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე რ ი ლ ი

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს

1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ

(დასასრული).

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩელიაბინსკის ოლქის საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების გამოცდილებას, სადაც გეგმაზომიერი მუშაობა წარმოებს ლითონის დასაზოგად, მისი ხარისხის ასამაღლებლად, მანქანების, მოწყობილობის ლითონტევადობის შესამცირებლად, ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად. ბევრი რამ შეგვიძლია შევიძინოთ მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის კოლექტივისაგან, რომელმაც შეიმუშავა და ნერგავს ნაკლებნარჩენებიანი წარმოების ტექნოლოგიას, რომელიც წელიწადში ათიათასობით ტონა ლითონის დაზოგვის საშუალებას იძლევა.

მწვავედ დგას სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი ხარჯვის საკითხი. ამის მაგალითს გვიჩვენებენ კემეროვოს ოლქის მშრომელები. ბოლო წლებში აქ ნორმასთან შედარებით 2,5 მილიონი ტონა პირობითი სათბობი დაზოგეს.

ამავე დროს ქვეყანაში სამი ათასამდე საწარმო და ორგანიზაცია ურიგდება სათბობის გადახარჯვას, 2,6 ათასზე მეტი — ელექტროენერგიის გადახარჯვას. სულ იკარგება იმდენი სათბობი რესურსი, რამდენიც საკმარისი იქნებოდა რამდენიმე დიდი ქალაქის წლიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

დიდი ეფექტი შეიძლება მოგვცეს ლითონისა და სხვა მასალების მეორეული რესურსების უკეთ გამოყენებამ.

კვლავ უაღრესად აქტუალურია სოფლის მეურნეობაში დანაკარგების შემცირების პრობლემა. ყოველწლიურად დიდძალი მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი იკარგება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, გადამუშავებისა და დაბინავების დროს. ჯერ კიდევ დიდია პირუტყვის გაწყდომა. იკარგება ბევრი მინერალური სასუქი.

მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება საშუალებას გვაძლევს განუხრელად შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, გავადიდოთ სოციალისტური დაგროვება. მეტი წილი შრომითი კოლექტივები გულდასმით მუშაობენ ამ მიმართულებით. მაგრამ ბევრ სამრეწველო საწარმოში წარმოების ხარჯები ჯერ ისევ დიდია, ვერ სრულდება თვითღირებულების შემცირების გეგმები. 1977 წლის 9 თვეში აღნიშნულმა საწარმოებმა საგეგმო თვითღირებულებასთან შედარებით 1,5 მილიარდი მანეთი გადახარჯეს. ეს უმეტესად შეეხება ქიმიურ, ქვანახშირის, მსუბუქ მრეწველობას. მთელ რიგ შემთხვევებში არის გაუმართლებელი განსხვავებანი ერთნაირი პროდუქციის წარმოების ხარჯებში. მთლიანად არ სრულდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებანი, ზოგჯერ კი მნიშვნელოვანი გადახარჯვაც არის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, გაუმჯობესონ თვითღირებულების შემცირებისათვის მუშაობა ყველა საწარმოში და მშენებლობაზე, თითოეულ სამუშაო ადგილზე. უნდა განავითარონ შეჯიბრება მომჭირნეობის პირადი და კოლექტიური ანგარიშების საფუძველზე, გაავრცელონ ლენინგრადელთა ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს 1978 წელს ორი დღე დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშაონ. ყველა შრომითს კოლექტივში მაღალ დონეზე უნდა მოეწყოს ნედლეულის, მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება.

დავზოგოთ ყველაფერში, დიდსა და მცირეში, შევამციროთ თვითღირებულება, მთლიანად აღმოვფხვრათ განიავებისა და გაფლანგვის ფაქტები სოციალისტური მეურნეობრიობის უცილობელი მოთხოვნა, ყველა მშრომელის ვალია!

მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხის მიღწევა განუწყვეტლად არის დაკავშირებული კაპიტალური მშენებლობის ძირეულ გაუმჯობესებასთან, საწარმოო ობიექტების ამოქმედების დაჩქარებასთან. ჩვენ ბევრს ვაშენებთ და უდავო წარმატებანი გვაქვს ამ საქმეში. მაღალი ორგანიზებულობის, შემოქმედებითი მუშაობის მაგალითს გვიჩვენებენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, კამის საავტომობილო ქარხნის, „ატომმანქანის“, ბაშკირეთის ნავთობქიმიური საწარმოებისა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციათა მშენებლები. მშენებლობებზე დღენიადაგ იზრდება კოლექტივების რიცხვი, რომლებიც აღწევენ დიდ ნაყოფიერებას, ამასთან უზრუნველყოფენ ხარისხს.

მაგრამ ხუთწლედის განვლილი ორი წლის მანძილზე მთლიანად არ შესრულებულა ბევრი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედების გეგმები, გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობისა და დაუდგმელი მოწყობილობის მოცულობა.

მაგალითად, მრავალი წელია შენდება პერმის სინთეზური კაუჩუკის ქარხანა. ორი წლის წინათ უნდა ამოქმედებულიყო ხოლბოჯინსკის ქვანახშირის ჭრილის სიმძლავრენი ბურიატეთის ასს რესპუბლიკაში, პერვომაისკის ქიმიური ქარხანა ხარკოვის ოლქში. მაგრამ დღემდე ისინი ჯერ კიდევ გადაცემული არ არის საექსპლოატაციოდ. ჩამორჩება სასოფლო და სამელიორაციო მშენებლობა რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიან ზონაში.

მშენებლებმა, საპროექტო, სამონტაჟო და საგეგმო ორგანიზაციების მუშაკებმა მთელი ძალ-ღონე, სახსრები და რესურსები უწინარეს ყოვლისა უნდა მოახმარონ ასამუშავებელ ობიექტებს, უფრო აქტიურად აწარმოონ საწარმოების რეკონსტრუქცია, დაჩქარონ მშენებლობა და შეამცირონ მისი ღირებულება, უფრო ფართოდ დანერგონ ბრიგადული იჯარის მეთოდი. ყველაფერი, რაც 1978 წლისათვის და ხუთწლედის გეგმით არის დასახული, უნდა აშენდეს ვადაზე და ხარისხოვნად!

სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება სატრანსპორტო სისტემის მუშაობის სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. ახლა ტრანსპორტის განვითარებისათვის დამატებითი რესურსები გამოიყოფა. ამავე დროს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული გარკვეული სიძნელეები ხშირად გამოწვეულია არა მარტო სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობით, არამედ იმ მიზეზებითაც, რომლებიც შეიძლება აღმოიფხვრას დიდი დანახარჯების გაუწევლად. უნდა მივაღწიოთ ცარიელი გარბენების, დატვირთვისა და გადმოტვირთვისას დროის დანაკარგების შემცირებას, ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთამწეობის სრულ გამოყენებას.

უწინარეს ყოვლისა ეს ეხება რკინიგზის ტრანსპორტს. რიტმულად ვერ მუშაობს, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზა. იგი ვერ ასრულებს ტვირთბრუნვის, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტვირთის გაგზავნის გეგმას. ამის შედეგად არის შეფერხებები მომხმარებლებისათვის ტვირთის მიტანის საქმეში, ბევრ საწარმოში გაიზარდა მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგი.

ეფექტიანად არ წარმოებს სატვირთო ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპლოატაცია, მაგალითად, ცენტრალურ-შავმიწანიადაგიან ტერიტორიულ ავტოსატრანსპორტო სამმართველოში ცდება მანქანების დაახლოებით 40 პროცენტი და ყოველი მეორე მისაბმელი. ავტომობილებს დღე-ღამის განმავლობაში ცხრა საათზე ოდნავ მეტ ხანს იყენებენ, აქედან დაახლოებით ორ საათს ცდებიან ისინი დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს, გარბენის მესამედზე მეტს ცარიელი დადიან. ამ სამმართველოს ავტომეურნეობათა უმრავლესობა ვერ ასრულებს ტვირთზიდვის დადგენილ გეგმებს.

ბევრი რეზერვია აგრეთვე საზღვაო, სამდინარო ტრანსპორტისა და ავიაციის მუშაობაში.

რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, მოაგვაროს ტრანსპორტის შეწყობილი და შეუფერხებელი მუშაობა — ეს ტრანსპორტის მუშაკთა მრავალმილიონიანი რაზმის ღირსების საქმეა.

უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო ამოცანაა კიდევ უფრო განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა. 1978 წლისათვის ამ დარგში დასახულია ზრდის მეტად სწრაფი ტემპი.

დამკვრელურ უბნად რჩება მარცვლეულის წარმოება, რომლის მთლიანმა მოსავალმა უნდა შეადგინოს სულ ცოტა 220 მილიონი ტონა.. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს ხორცის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება. სწორედ ამას უნდა მოვახმაროთ მაქსიმალურად მეცადინეობა და მატერიალური რესურსები. მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ შაქრის ჭარხლის, ბამბის, მზესუმზირას თესლის, ბოსტნეულის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქციის წარმოება და შესყიდვა. საჭიროა აგრეთვე ყოველნაირად გავაუმჯობესოთ სასელექციო მუშაობა როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაშიც.

სოფლის მშრომელებს ყველა შესაძლებლობა აქვთ არა მარტო მიაღწიონ დასახულ მიჯნებს, არამედ მეტიც გააკეთონ. უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იზრდება სოფლისათვის ახალი მანქანებისა და მექანიზმების, მინერალური სასუქებისა და სხვა საშუალებების მიწოდება.

საქმე ის არის, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი, ავამოქმედოთ უდიდესი რეზერვები, რომლებიც აქვს სოფლის მეურნეობას, თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას. ამ რეზერვების არსებობას მოწმობს ორი მეზობელი ოლქის — ტამბოვისა და ვორონეჟის ოლქების მაგალითი. ორივე ოლქი პრაქტიკულად ერთნაირ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებშია, მათთვის გამოიყოფა თითქმის ერთნაირი რაოდენობის მინერალური სასუქები და სხვა რესურსები. მაგრამ როგორია შედეგები? ტამბოვის ოლქში მარცვლეულის მოსავლიანობა ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ვორონეჟის ოლქთან შედარებით უფრო მცირეა — 3,5 ცენტნერით ჰექტარზე, მზესუმზირას მოსავლიანობა — 3,4 ცენტნერით, ხოლო შაქრის ჭარხლისა — 90 ცენტნერზე მეტით. მნიშვნელოვნად დაბალია აქ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ვალია წარმატებით გამოაზამთრონ პირუტყვი, გულმოდგინედ მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თითოეული ჰექტარი მიწა, თითოეული ცენტნერი საკვები და სასუქი, თითოეული მანქანა, თითოეული მანეთი კაპიტალური დაბანდება, მტკიცედ იბრძოლონ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების მაქსიმალური გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

პასუხსაგები ამოცანებია დასახული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ამ ამოცანების გადაწყვეტასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მეათე ხუთწლედის სოციალური პროგრამის განხორციელება, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება.

წლიური გეგმის შესრულების მხვლელობაში დიდი მუშაობა უნდა განხორციელდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების დამატებითი შესაძლებლობების გამოვლენისა და გამოყენებისათვის. ყოველმა დარგმა, ყოველმა საწარმომ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ამ დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტაში. ფართო ასპარეზია გადაშლილი რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ინიციატივისთვისაც.

კვლავინდებურად აქტუალურია ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების პრობლემა. ბევრი საწარმო უშვებს ცუდი ხარისხის, მოძველებული ფასონების პროდუქციას, რომელზეც მოთხოვნა არ არის და საწყობებში გროვდება.

გამოუშვან მაღალხარისხოვანი პროდუქცია, ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება მოსახლეობის მოთხოვნილებათა ცვლილებებზე მსუბუქი და კვების მრეწველობის, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის მწარმოებელი მძიმე ინდუსტრიის საწარმოების მუშაკთა პირდაპირი მოვალეობაა. ყოველივე ეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სამეცნიერო დაწესებულებების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება. მათი მეცადინეობის მიზანი უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური კადრებისა და მატერიალური რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია მეცნიერებისა და ტექნიკის გადამწყვეტ მიმართულებებზე, ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება.

კიდევ უფრო აქტიურად უნდა განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი პრაქტიკასთან. ყველგან უზრუნველყოთ მეცნიერული ნამუშევრების შემობრუნება წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემებისაკენ, დიდმწარმოებლური მანქანების, უახლესი ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების დასრულებული სისტემების შექმნისაკენ, მივაღწიოთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების უსწრაფესად დანერგვას.

ამ საკითხების გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნით სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს.

მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პროფესიული და ზნეობრივი მოვალეობა და ღირსების საქმეა მიაღწიონ წარმოების განვითარების მაღალ სამეცნიერო და საინჟინრო უზრუნველყოფას.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, 1978 წლის გეგმის წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა ორგანიზებულობა და დისციპლინა ყველა დონეზე, ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე. საქმე ეხება შრომის დისციპლინას, ტექნოლოგიურ დისციპლინას, საგეგმო დისციპლინას.

განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამინისტროებსა და უწყებებს. მათ მუშაკებს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის, საგეგმო დისციპლინის მკაცრად დაცვისათვის. ისინი მოვალენი არიან კვლავაც სრულყონ მართვის მთელი სისტემა, განსაკუთრებით იმ რგოლებში, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. საჭიროა ყველგან და ყველაფერში ვხელმძღვანელობდეთ საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, გადაჭრით აღმოვფხვრიდეთ უწყებრიობისა და კუთხურობის ელემენტებს.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ვალია უზრუნველყოფდნენ წარმოების მაჩვენებლების გაუმჯობესებას, უფრო მჭიდროდ უკავშირებდნენ მათ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებს, მუდამ ითვალისწინებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებათა სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს, დროულად უჭერდნენ მხარს მშრომელთა ინიციატივას და შემოქმედებას.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, ადამიანთა აღზრდაში დიდი როლი ეკისრებათ ხელმძღვანელთა ყველაზე მრავალრიცხოვან კატეგორიას — ბრიგადირებს, ოსტატებს, უბნებისა და ცვლების უფროსებს. მათი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა წარმოებაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი წინამძღვარია.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც შრომითი კოლექტივების ბირთვმა, უნდა გაძლიერონ გავლენა საწარმოებისა და დაწესებულებების საქმიანობის ყველა მხარეზე, დღენიადაგ იზრუნონ ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, ერთსულოვანი მუშაობისა და შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროს შექმნისათვის.

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გაძლიერონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმება და ორგანიზაცია, დაამკვიდრონ ხელმძღვანელობის ლენინური სტილი, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და კადრების აღზრდის ქმედითი საშუალება.

ძვირფასო ამხანაგებო!

1978 წელს ქვეყნის წინაშე დასახული დიდი და რთული ამოცანების განხორციელება მოითხოვს ძალების, ცოდნისა და უნარის მობილიზაციას, მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის შემდგომ ამაღლებას. „საჭიროა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, — შევინარჩუნოთ, განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი შემართება და რიტმი. დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. ასეთია დღის ლოზუნგი. ხოლო უკეთ — ეს ნიშნავს, უმთავრესი ყურადღება დავუთმოთ ხარისხს, ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. სწორედ ეს არის სოციალისტური ვალდებულებების, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის სული და გული“.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესება, მისი ქმედითობის ამაღლება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა. ხელმძღვანელობთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მეათე ხუთწლედში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, უნდა მივაღწიოთ, რომ ვალდებულებანი და შემხვედრი გეგმები იყოს დამრაზმველი, ითვალისწინებდეს არსებულ რეზერვებს. შეჯიბრებულთა პირველ რიგებში უნდა იყვნენ კომუნისტური შრომის დამკვრელები. სოციალისტური შეჯიბრების მაღალი აღმავლობის პირობებში კიდევ უფრო იზრდება მართვის ყველა რგოლის მუშაკთა, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შესასრულებლად ყველა პირობის შექმნისათვის. უნდა ავამაღლოთ შეჯიბრების საჯარობა, პატივისცემა არ მოვაკლოთ მოწინავეებსა და ნოვატორებს, ფართოდ გავავრცელოთ და დავნერგოთ მათი გამოცდილება და მიღწევები.

ღრმად უნდა გავაანალიზოთ ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზები, დავეხმაროთ შეჯიბრების ყველა მონაწილეს, რომ მიაღწიოს მაღალ მიჯნებს, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ამ მიზნით დამრიგებლობა, კომუნისტური შრომის სკოლები, ეკონომიკური განათლების სისტემა, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყანა მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულების დიდმნიშვნელოვან ეტაპზეა. დაე 1978 წელი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის იყოს დამკვრელური შრომის, ახალი წარმატებების, ახალი გამარჯვებების წელი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ გმირ მუშათა კლასს კვლავაც იყოს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, უჩვენებდეს მაღალნაყოფიერი შრომის, ხალხის დოვლათიანობისადმი მზრუნველი, ყაირათიანი დამოკიდებულების ნიმუშს, იყოს მაღალი იდეურობისა და ორგანიზებულობის მაგალითი!

მოვუწოდებთ ჩვენს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, სოფლის ყველა მშრომელს — აქტიურად ჩაებით მოძრაობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების უდიდესი მოსავლიანობისა და მეცხოველეობის უმაღლესი პროდუქტიულობის მიღწევისათვის, გაადიდეთ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოება, რათა უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი!

მოვუწოდებთ საბჭოთა ინტელიგენციას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მუშაკებს — დაჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაზარდეთ თქვენი წვლილი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. დაე ხუთწლედის სამუშაო რიტმს შეეერწყას ინჟინერისა და აგრონომის შემოქმედებითი შრომა, მეცნიერის ძიება, პედაგოგისა და ექიმის გამოცდილება და ცოდნა, სიმღერა და მწერლის შთაგონებული სტრიქონი!

მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო საბჭოთა ქალებო, — თქვენმა შრომამ წარმოებაში, თქვენმა დედობრივმა ზრუნვამ ოჯახისათვის, შვილების აღზრდისათვის საყოველთაო მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურა! კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აღმშენებლობითს შრომაში!

მოვუწოდებთ კომკავშირელებს, ჭეყნის მთელ ახალგაზრდობას — ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი აღნიშნონ ახალი წარმატებებით, ღირსეულად განაგრძეთ უფროს თაობათა სახელოვანი ტრადიციები, ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნასა და პროფესიულ ოსტატობას, აქტიურად იშრომეთ წარმოებაში, ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე!

კომუნისტთა მოვალეობაა — ყოველთვის და ყველაფერში იყვნენ წინ, სათავეში ედგნენ ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას, მიაღწიონ საერთო აღმავლობას, იყვნენ მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი, ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას 1978 წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

